

10. „როსტან ამაღ ივაგლახნა“ ანუ:

- ა) როსტევანი ამიტომ დამწუხრდა;
- ბ) როსტევანი ამაოდ დაიღალა;
- გ) როსტევანმა ამით დაამთავრა ნადირობა;

სავარჯიშო II - ლიტერორიის საკითხები. შემოხაზეთ სწორი პასუხი: ა, ბ ან გ (10 ქულა)

11. რა არის ლეგენდა?

- ა) ლეგენდა არის ზღაპრული ხასიათის მოკლე მხატვრული გადმოცემა რომელიმე ისტორიული პირისა ან რაიმე მნიშვნელოვანი მოვლენის შესახებ.
- ბ) ლეგენდა არის ვრცელი სიტყვა, რომლითაც დრამატული ან სხვა ლიტერატურული ნაწარმოების პერსონაჟი მიმართავს თავის თავს, სხვა მოქმედ პირებს ან მაყურებელს.
- გ) ერთი და იმავე ან დამსგავსებული ბგერების გამეორება.

12. რა არის შაირი?

- ა) შაირი არის ბოლოსიტყვა, სადაც მოთხრობილია პერსონაჟების ბედზე, მათ ცხოვრებაზე და ავტორები გამოხატავენ თავიანთ შეხედულებებს მათი პერსონაჟებისა და სხვა მოვლენების შესახებ.
- ბ) შაირი არის თექვსმეტმარცვლიანი ლექსი. მისი სახესხვაობაა რვა და ოთხმარცვლიანი ტაეპები, რომლებიც შაირის ზომით დაწერილი სრული სალექსო სტრიქონის ორად და ოთხად დაყოფის შედეგად მიიღება.
- გ) შაირი არის მონაკვეთი ამა თუ იმ ლიტერატურული თუ დრამატული ნაწარმოებიდან, რომელიც სიტყვა-სიტყვით გადმოიცემა და ჩაისმის ბრჭყალებში.

13. რა არის ეპიგრაფი?

- ა) ეპიგრაფი არის თხზულების ან მისი ცალკეული თავის წინ წამძღვარებული ციტატა, ფრაზა, რომელიც ერთგვარად ახასიათებს ნაწარმოების ძირითად იდეას.
- ბ) ეპიგრაფი არის ამა თუ იმ ენის თავისებური, დაუშლელი გამოთქმა, რომლის მნიშვნელობა არ უდრის შემადგენელი სიტყვების მნიშვნელობათა ჯამს.
- გ) ეპიგრაფი არის საგნის ან მოვლენის გაზვიადებულად გამომხატველი ტროპი.

14. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში:

„გორით-გორს ბუვი გასძახის, თრთიან ყვავილნი მთებისა,
ქოჩორს უვარცხნის ნიავი, დარაჯად დაადგებისა.“

- ა) შედარება
- ბ) გაპიროვნება
- გ) ეპითეტი

15. რა მხატვრული ხერხია გამოყენებული ციტატაში:

„კლდის თავს გაშლილა პირიმზე, მთის სასახელო ქალია;
მარგალიტივით მდელიოზედ ბჭყვიალა დილის ცვარია.“

- ა) შედარება
- ბ) გაპიროვნება
- გ) გაზვიადება